ხელშეკრულება № 322/06

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ქ.თბილისი 03 აპრილი 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით (შემდგომში "შემსყიდველი"), და მეორს მხრივ, შპს "ოქს-ჯენი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ ბარამიძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შეაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, საგრანტო პროექტის დაფინანსების ფარგლებში, STCU-2016-47 გრანისთვის , ძირითადი არაორგანული და ორგანული ქიმიკატების (CPV24300000) სახელმწიფო შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის მოცულობა და ღირებულება:

#	დასახელება	დაფასოების მოცულობა	რაოდენობა ცალი	ერთეულის ღირებულება	სულ ღირებულება	CPV
1	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*
ოლიგიგონუკლეოტიდები, 50 ნმოლ						
1	Mbt113R	50 ნმოლი	1	258	258	24300000
2	Mbt191R	50 ნმოლი	1	215	215	24300000
3	Mbt235R	50 ნმოლი	1	215	215	24300000
4	Mmon224R	50 ნმოლი	1	215	215	24300000
5	Mmon141R	50 ნმოლი	1	215	215	24300000
6	Mmon263R	50 ნმოლი	1	215	215	24300000
7	Mmon171R	50 ნმოლი	1	215	215	24300000
8	Mmon199R	50 ნმოლი	1	215	215	24300000
9	Mmon286R	50 ნმოლი	1	258	258	24300000
				სულ თანხა	2021 ლარი	
ოლიგონუკლეოტიდები, 200 ნმოლ						
1	Mbt113PROBE	200 ნმოლ	1	310	310	24300000
2	Mmon224PROBE	200 ნმოლ	1	266	266	24300000
3	Mmon141PROBE	200 ნმოლ	1	310	310	24300000
4	Mmon263PROBE	200 ნმოლ	1	266	266	24300000
5	Mmon171PROBE	200 ნმოლ	1	310	310	24300000
6	Mmon199PROBE	200 ნმოლ	1	266	266	24300000
7	Mmon286PROBE	200 ნმოლ	1	310	310	24300000
8	RhodGAPDH	200 ნმოლ	1	266	266	24300000
9	BacilPhosL	200 ნმოლ	1	266	266	24300000
10	PhsePhl2a	200 ნმოლ	1	266	266	24300000
11	GeobacilAP	200 ნმოლ	1	266	266	24300000
12	ArthrobacterGD	200 ნმოლ	1	266	266	24300000
13	16SCONS_1	200 ნმოლ	1	266	266	24300000
26	Firmicute	200 ნმოლ	1	266	266	24300000
				სულ თანხა	3900	

2.2. შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს: 5921.00 (ხუთიათასცხრაასოცდაერთი და 00 თეთრი) ლარი.

3. ხელშეკრულების კონტროლი

ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს:

3.1. სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის STCU-2016-47 საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი ნელი დათუკიშვილი.

3.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

3.3. ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შესყიდვის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე).

4.3. ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტისა (მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა თან ერთვის) და/ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან და ინსპექტირების დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის და/ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დადებითი დასკვნის გამოუწერლობის შემთხვევაში "მიმწოდებელს" შეუჩერდება დაფინანსება, ხოლო საკითხის 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება მასთან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1. მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზ. #1.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და ვარგისიანობის ვადები.

7.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს, ხარისხობრივ მონაცემებს და პასუხობდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

7.2. შესყიდვის ობიექტის ვარგისიანობის ვადაა: მიწოდებიდან არანაკლებ 1 თვე.

8. ხელშეკრულების პირობების შესრულება

8.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „შემსყიდველი" უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,02 %–ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

8.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, „მიმწოდებელი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „შემსყიდველს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობთ ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისთვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.

9.2. დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.

9.3. დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე მხარეს ამის შესახებ, თუ დაუძლეველი ძალის მოვლენა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა შეიძლება შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

9.4. მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც განსაზღვრულ ვადებში.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებას ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

10.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი შესრულება.

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

გ) მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

დ) შეწყვიტოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის ხარისხის და/ან ხელშეკრულების პირობების გაუარესების გამო.

10.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული გადახდა მიწოდების შემდეგ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

10.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

10.5. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) შესყიდვის ობიექტის განსაზღვრულ ადგილზე მიწოდება;

ბ) შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მიწოდება.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.2. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდე-ბულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

12. ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებიდან, უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

13.2. თუ მხარეები 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მოილაპარაკებენ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესს.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

14.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას.

14.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

14.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

14.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

14.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მიმოწერა სრულდება ქართულ ენაზე.

14.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით და ორმხრივი ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

14.8. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, ერთი "მიმწოდებელთან", ორი – "შემსყიდველთან".

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის	**შპს "ოქს-ჯენი"**
სახელმწიფო უნივერსიტეტი	საიდენტიფიკაციო კოდი : 404480995
საიდენტიფიკაციო კოდი 204864548	**მისამართი** : პეტრიაშვილის N10
მისამართი :ი.ჭავჭავაძის გამზ.#1	**საბანკო რეკვიზიტები:**
საბანკო რეკვიზიტები:	ლიბერთი ბანკი
სახელმწიფო ხაზინა	LBRTGE22
საგრანტო პროექტი	ანგარიშის №GE46LB0113115357281000

თსუ ადმინისტრაციის	შპს "ოქს-ჯენი"
ხელმძღვანელი	დირექტორი
---	---
/ნ. ოვსიანნიკოვა/	/გ. ბარამიძე/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.თბილისი 03 აპრილი 2018 წ.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში შპს „ოქს-ჯენ"-თან.

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	ნ. ოვსიანიკოვა
თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე	ლ. საღინაძე
თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი	ი. საღარეიშვილი
თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი	ბ. კუკულავა
შესყიდვების განყოფილების უფროსი	ს.სანაძე
თსუ შესყივების განყოფილების სპეციალისტი	ნ.ხუციშვილი